**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 31(ბ)**
**(გამარტივებული შესყიდვა - SMP190004406)**
**დაფინანსების წყარო: 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, პროგრამული კოდი:310901**

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2020 წლის ,,22" ,,იანვარს" ქ. თბილისში

**სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი სააგენტოს მოადგილის **დავით ალადაშვილის** სახით, მეორე მხრივ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – **დაცვის პოლიციის დეპარტამენტი** (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი დაცვის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსის **მამუკა ლიპარტელიანის** სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ SMP მოდულის საშუალებით გაცემული **#SMP200000040** ნებართვის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ,,მიმწოდებელი" გამოკვლევის აქტის საფუძველზე, უზრუნველყოფს ,,შემსყიდველის" ობიექტის დაცვას (CPV-79713000) **2020 წლის 01 თებერვლიდან - 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში** (შემდგომში ,,ობიექტად" წოდებული), რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №6.
1.2. ,,შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას "მიმწოდებელს" გადაუხადოს დაცვის მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე–3 მუხლის მოთხოვნათა მიხედვით.
1.3. გამოკვლევის აქტი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 2. დაცვის თანამშრომელთა საშტატო განრიგი და დაცვის რეჟიმი**

ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული „ობიექტის" დაცვას განახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თბილისის სამმართველო პოლიციის 1 (ერთი) უფროსი ინსპექტორის, 4 (ოთხი) ინსპექტორისა და 3 (სამი) უმცროსი ინსპექტორის საშტატო ერთეულით, გამოკვლევის აქტით გათვალისწინებული დაცვის რეჟიმით.

**მუხლი 3. მხარეთა შორის ანგარიშსწორება და სახელშეკრულებო ღირებულება**

3.1 სახელშეკრულებო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს - **106 700 (ასი ექვსი ათას შვიდასი)** ლარს.
3.2 დაცვის მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს **9700,00 (ცხრა ათას შვიდასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით** (მათ შორის: პოლიციის ერთი უფროსი ინსპექტორი - 1500,00 ლარი, ერთი ინსპექტორი - 1300,00 ლარი და ერთი უმცროსი ინსპექტორი – 1000,00 ლარი);
3.3 ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში;
3.4 დაცვის მომსახურებაზე საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერას უზრუნველყოფს შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის სამმართველო.
3.5 ხელშეკრულების პირობების შერულების კონტროლს განახორციელებენ და შესაბამის მიღება- ჩაბარების აქტ(ებ)ზე ხელმოწერას უზრუნველყოფენ: ფინანსური **დეპარტამენტის უფროსი, ან მისი დროებით მოვალეობის შემსრულებელი და მატერიალურ- ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ან მისი დროებით მოვალეობის შემსრულებელი.**

**მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
4.1.1 არ გაამჟღავნოს ,,შემსყიდველის სამსახურებრივი საიდუმლოება;
4.1.2 ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე განახორციელოს დაცვა ცეცხლსასროლი იარაღით;
4.1.3 ,,პოლიციის შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;
4.1.4 ,,მიმწოდებელი ზარალისათვის პასუხისმგებლობას კისრულობს მის მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;
4.1.5 ზარალის ოდენობის განსაზღვრა მოხდება, მხარეთა მონაწილეობით შედგენილი შედარების აქტით, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს შემსყიდველის საბუღალტრო დოკუმენტაციას;
4.1.6 ,,შემსყიდველისათვის'' ფაქტიური ზარალის ანაზღაურებას ,,მიმწოდებელი'' მოახდენს ერთობლივი კომისიის დასკვნის ან სასამართლოს, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;
4.2 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას არ კისრულობს თუ:
4.2.1 შემსყიდველმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნები;
4.2.2 თანამშრომელთა პირად საკუთრებაზე, რომელიც დატოვეს დასაცავ ობიექტში;
4.2.3 მატერიალურ ფასეულობების ქურდობისათვის, თუ ქურდობა ჩადენილია ,,შემსყიდველის" მიერ „ობიექტის" დაცვისათვის ჩაუბარებლობის მიზეზით.
4.3 შემსყიდველი ვალდებულია:
4.3.1 განახორციელოს პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნათა შესრულება და მიმწოდებელთან ერთად იზრუნოს ობიექტის დაცვის სრულყოფისათვის;
4.3.2 ობიექტის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში, არ შევიდეს მასში ,,მიმწოდებლის თანამშრომლების გარეშე და არ დაიწყოს მატერიალურ ფასეულობათა აღწერა;

4.3.3 მიმწოდებელს 15 დღით ადრე აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს ობიექტზე მოსალოდნელი ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება დაცვის უსაფრთხოებას: (ობიექტის დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვა, მუშაობის რეჟიმის ცვლილება, სამშენებლო სარემონტო სამუშაოების წარმოება და ა.შ.);
4.3.4 „მიმწოდებლის თანამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს;
4.3.5 „შემსყიდველს ეკრძალება დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დაავალოს დაცვის თანამშრომლებს იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც არ არის განსაზღვრული მოკვლევის აქტით.
4.3.6 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

**მუხლი 5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
5.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით.
5.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხელო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 7%-ის ოდენობით.
5.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა შეადგენს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
5.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
5.6. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.
5.7. გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით ინსპექტირების ჯგუფის მიერ განსაზღვრულ და ,,შემსყიდველთან'' შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

**მუხლი 6. ფორს–მაჟორი**
მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან ფორს–მაჟორული შემთხვევის დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობების შესრულება და რაც დადასტურებულია სათანადო ორგანოების მიერ.

**მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**
ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და **მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

**მუხლი 8. ინტერესთა კონფლიქტი**
"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, აგრეთვე ვიზების დამდები პირები, ამავდროულად ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში აღნიშნულ მიმწოდებელთან.

**მუხლი 9. სხვა პირობები**
9.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია;
9.2 სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;
9.3 ხელშეკრულება შედგენილია ორი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო ერთი „მიმწოდებელთან".

**მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

**„შემსყიდველი"**
სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
ს/კ 204578581
ქ. თბილისი, გ.გულუას #6
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TREASGE22, ა/ა GE24NB0330100200165022.

სააგენტოს უფროსის მოადგილე

LEPL National Forestry Agency
Digitally signed by LEPL National Forestry Agency
Date: 2020.01.22 15:37:29 +04'00'

---------- *დ. ალადაშვილი*

**„მიმწოდებელი"**
შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, ს/კ 211350928
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–11 კმ
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 707117293
ბანკის კოდი TRESGE 22

დაცვის ორგანიზაციის
სამმართველოს უფროსი

LEPL SECURITY POLICE DEPARTMENT
Digitally signed by LEPL SECURITY POLICE DEPARTMENT
Date: 2020.01.22 16:40:19 +04'00'

---------- *მ. ლიპარტელიანი*